ზოგადი უნარების ტესტი

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 35 წუთი.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. ჭინჭარი : მედუზა

(ა) ქვიშა

(ბ) ალოე

(გ) ეკალი

(დ) უდაბნო

(ე) ზღარბი

კაქტუსი :

2. გამჭვირვალე : გულახდილი **ელასტიური :**

(ა) თვინიერი

(ბ) დრეკადი

(გ) რბილი

(დ) ხისტი

(ე) მყიფე

3. შედეგრი : ნაწარმოები

ინოვაცია :

(ა) რევოლუცია

(ბ) გარდატეხა

(გ) ცვლილება

(დ) ევოლუცია

(ე) პროგრესი

4. სკანდალი : გახმაურებული

პანდემია :

(ა) აღკვეთილი

(ბ) პრევენციული

(გ) ინფიცირებული

(დ) ტოტალური

(ე) ციკლური

5. თარგმნა : ლექსიკონი ხატვა :

(ა) ფერი

(ბ) სურათი

(გ) პალიტრა

(დ) საღებავი

(ე) აკვარელი

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

6. ბუნებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ------ პირობებში არსებობა ------ შეგუებითი ნიშნების განვითარებას ------ ორგანიზმებში. მათ უვითარდებათ ორგანოები, რომლებიც მორფოლოგიურად და ფუნქციურად ერთმანეთს ------ , თუმცა, წარმოშობით სხვადასხვაა. ამის მკაფიო მაგალითია უდაბნოს სუკულენტური მცენარეები: რძიანას მრავალი სახეობა იმდენად ------ კაქტუსებს, რომ მხოლოდ გამოცდილ სპეციალისტებს თუ შეუძლიათ მათი გარჩევა.

(ა) განსხვავებულ / განსხვავებული / იწვევს მონათესავე / არ ჰგავს / ჰგავს

(ბ) მსგავს / ერთნაირი / იწვევს არამონათესავე / ჰგავს / ჰგავს

(გ) განსხვავებულ / განსხვავებული / არ იწვევს მონათესავე / არ ჰგავს / არ ჰგავს

(დ) მსგავს / ერთნაირი / არ იწვევს არამონათესავე / ჰგავს / არ ჰგავს

7. ქვეყნიერება ისეთი მდიდარია, ცხოვრება ისეთი მრავალფეროვანია, რომ ლექსისათვის მასალა არასოდეს დაილევა. ------ ლექსი ------ იყოს, ------ მოგვცეს საბაბი და მასალა ლექსისათვის. ------ , კონკრეტული შემთხვევა საინტერესო და პოეტური ------ .

(ა) შეიძლება, / სინამდვილეზე რეაქცია / მაგრამ შეუძლებელია, რეალურმა შემთხვევამ / მიუხედავად ამისა / მხოლოდ მაშინ გახდება, თუ მასზე პოეტი ამეტყველდება

(ბ) თუმცა, არ შეიძლება, კარგი / სინამდვილეზე რეაქცია / შეუძლებელია, რეალურმა შემთხვევამ / შესაბამისად / იმ შემთხვევაში გახდება, როცა მასზე პოეტი ამეტყველდება

(გ) მეტიც, ყოველი / რეალურ შემთხვევაზე რეაქცია უნდა / სინამდვილემ უნდა / თუმცა, ამავე დროს / იმის წყალობით ხდება, რომ მასზე პოეტი ამეტყველდა

(დ) ამიტომ არ შეიძლება, / რეალურ შემთხვევაზე რეაქცია არ / სინამდვილის გარდა კიდევ რაიმემ უნდა / სწორედ ამიტომ / მაშინ გახდება, თუ მასზე პოეტი ამეტყველდება

8. შეგრძნებისა და ------ , ცნობიერებისა და აზროვნების მნიშვნელოვანი ფუნქცია ისაა, რომ მათი მეშვეობით შეგვიძლია, მოქმედებისას გავითვალისწინოთ ის მოვლენები, რომლებიც ჩვენგან ------ დროსა და სივრცეში, ------ ჩვენს შეგრძნების ორგანოებზე უშუალოდ ------ .

(ა) აღქმისგან განსხვავებით / დაშორებულია / ანუ / არ მოქმედებს

(ბ) აღქმის მსგავსად / დაშორებულია / თუმცა, / ზემოქმედებს

(გ) აღქმისგან განსხვავებით / არ არის დაშორებული / თუმცა, / ზემოქმედებს

(დ) აღქმის მსგავსად / არ არის დაშორებული / ანუ / არ მოქმედებს

9. ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც უპირველესი ------ ტექნოლოგიისთვის, ------ ადამიანთა პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; ------ ტექნოლოგიის ამოცანა იმ ------ .

(ა) ამოცანა იყო ძველი დროის / უკავშირდებოდა / ხოლო დღეს / პრობლემების გადაწყვეტაა, რომელთა წამოჭრაც საკვების გლობალურმა დეფიციტმა გამოიწვია

(ბ) ამოცანაა თანამედროვე / უკავშირდება / ხოლო ძველი დროის / პრობლემების გადაწყვეტა იყო, რომელთა წამოჭრაც ტექნოლოგიის განვითარებამ განაპირობა

(გ) ამოცანა იყო ძველი დროის / არ უკავშირდებოდა / სამაგიეროდ, თანამედროვე / მოთხოვნათა დაკმაყოფილებაა, რომლებიც სპეციფიკურია ინფორმაციული ეპოქისთვის

(დ) ამოცანაა თანამედროვე / აღარ უკავშირდება / დღევანდელი / ზიანის გამოსწორებაა, რომელიც გუშინდელმა ტექნოლოგიამ გამოიწვია

10. არ არსებობს უფრო ძნელი, წარმატების მიღწევის თვალსაზრისით უფრო საეჭვო და სახიფათო საქმე, ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნებაა: სიახლის დამნერგავს ------ ყველა, ვისთვისაც ------ წესრიგი; ხოლო ისინი, ვისთვისაც, პირიქით, ------ , ძალზე გაუბედავად დაიცავენ მას.

(ა) მხარს დაუჭერს / ხელსაყრელი იქნება ახალი / ძველი ნაკლებად ხელსაყრელი იყო

(ბ) მტრად ექცევა / არახელსაყრელი იქნება ახალი / ძველი უფრო ხელსაყრელი იყო

(გ) მხარს დაუჭერს / არახელსაყრელი იყო ძველი / ახალი ნაკლებად ხელსაყრელი იქნება

(დ) მტრად ექცევა / ხელსაყრელი იყო ძველი / ახალი უფრო ხელსაყრელი იქნება

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. ქუჩის მონაკვეთზე ორ მხარეს ერთმანეთის პირისპირ სამ-სამი შენობა დგას, რომლებშიც სხვადასხვა ორგანიზაცია ფუნქციონირებს.

- ბანკის შენობა მხოლოდ ერთ შენობას ესაზღვრება გვერდიდან.
- თეატრის შენობას მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც ესაზღვრება შენობა.
- უნივერსიტეტის შენობა ბანკის შენობას ესაზღვრება.
- სასტუმრო და კონსერვატორია ქუჩის ერთ მხარესაა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად სწორი**, თუ ეს პირობები სრულდება?*

(ა) თეატრისა და უნივერსიტეტის შენობები ერთმანეთის პირდაპირაა.

(ბ) თეატრისა და უნივერსიტეტის შენობები ერთმანეთს ესაზღვრება.

(გ) ბანკი კონსერვატორიის პირდაპირაა.

(დ) ბანკი სასტუმროს პირდაპირაა.

(ე) თეატრის მარცხნივაა კონსერვატორია.

12. ფსიქოლოგები იკვლევდნენ ერთ-ერთი ორგანიზაციის თანამშრომელთა პიროვნულ მახასიათებლებს და მათ კავშირს ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა ასაკი, სქესი, განათლება, სტაჟი და ა. შ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ **<u>რაც უფრო მეტია თანამშრომელთა დასაქმების ხანგრძლივობა (სტაჟი), მით უფრო ნაკლებად იჩენენ ისინი ინიციატივას მუშაობის პროცესში.</u>**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლით შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი?

(ა) დამწყები თანამშრომლები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი კარიერული ზრდით, ვიდრე დიდი სტაჟის მქონენი, რომლებისთვისაც კარიერული წინსვლა არ არის წამყვანი ღირებულება.

(ბ) მუშაობის პროცესში ინიციატივის გამოჩენას ხელს უწყობს გამოცდილება, რომელსაც ადამიანი იძენს ამა თუ იმ სფეროში ხანგრძლივად მუშაობის შემთხვევაში.

(გ) ამა თუ იმ სიტუაციაში ინიციატივის გამოჩენის უნარი სტაბილური პიროვნული მახასიათებელია და ნაკლებად იცვლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, როგორებიცაა განათლება, სტაჟი და სხვა.

(დ) სამუშაო გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მატულობს თანამშრომელთა პროფესიული თვითდაჯერებულობა, ხოლო კვლევებით დადგენილია, რომ ინიციატივას, უმეტესად, თვითდაჯერებული ადამიანები იჩენენ.

(ე) ორგანიზაციაში, რომელშიც კვლევა ჩატარდა, თანამშრომელთა ფინანსური წახალისების ერთ-ერთი კრიტერიუმი მუშაობის პროცესში ინიციატივის გამოჩენაა.

13. მოცემულია:

- ზოგიერთი წიგნი დიდი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ დღესაც მნიშვნელოვანია.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ შეიძლება</u>** იყოს ჭეშმარიტი, თუკი მოცემული დებულება ჭეშმარიტია?*

(ა) ყველა წიგნი, რომელიც დღესდღეობით უმნიშვნელოა, დიდი ხნის წინაა დაწერილი.

(ბ) ყველა წიგნი, რომელიც დღესდღეობით უმნიშვნელოა, ჩვენს დროშია დაწერილი.

(გ) დიდი ხნის წინ დაწერილი ზოგიერთი წიგნი დღესდღეობით უმნიშვნელოა.

(დ) ჩვენს დროში დაწერილი ყველა წიგნი დღესდღეობით მნიშვნელოვანია.

(ე) დიდი ხნის წინ დაწერილი ყველა წიგნი დღესდღეობით უმნიშვნელოა.

14. მუზეუმმა შეისყიდა პიკასოს, მატისის, სეზანისა და შაგალის თითო ნამუშევარი. ერთ-ერთი მათგანი გუაშითაა შესრულებული, ერთი – აკვარელით, ერთი – პასტელით, ხოლო ერთი – ზეთის საღებავებით. ცნობილია:

- პიკასოს ნამუშევარში გადაიხადეს სეზანის ნამუშევარზე მეტი, მაგრამ მატისის ნამუშევარზე ნაკლები.
- შაგალის ნამუშევარში, რომელიც ზეთითაა შესრულებული, გადაიხადეს მეტი, ვიდრე პიკასოს ნამუშევარში, რომელიც პასტელითაა შესრულებული.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **შეუძლებელი?***

(ა) ზეთით შესრულებულ ნამუშევარში ყველაზე მეტი გადაიხადეს.

(ბ) გუაშით შესრულებულ ნამუშევარში ყველაზე ნაკლები გადაიხადეს.

(გ) აკვარელით შესრულებულ ნამუშევარში ყველაზე ნაკლები გადაიხადეს.

(დ) აკვარელით შესრულებულ ნამუშევარში ზეთით შესრულებულ ნამუშევარზე მეტი გადაიხადეს.

(ე) პასტელით შესრულებულ ნამუშევარში გადაიხადეს როგორც აკვარელით, ისე გუაშით შესრულებულ ნამუშევარზე მეტი.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i ათ წელზე მეტია, რაც მსოფლიოს ცნობილი კომპანიების ასობით სხვადასხვა მენეჯერი ჩადის ბრაზილიაში, სან-პაულოში, რათა საკუთარი თვალით ნახოს კომპანია, რომელმაც არ იცის, რა არის ადმინისტრაციული ხარჯები, რომლის თითოეული თანამშრომელი თვითონ წყვეტს, რომელ დღესა და რომელ საათზე მივიდეს სამუშაოზე, რა დატვირთვით იმუშაოს, როდის და რა ვადით აიღოს შვებულება. კომპანიაში ათასობით ადამიანი „მუშაობს“. ეს არ არის უბრალოდ მუშაობა: ისინი ფიქრობენ, ქმნიან და ცხოვრობენ. კომპანიაც მათთან ერთად ცხოვრობს და ვითარდება.

ii „Semco“ ყოველთვის როდი იყო ასეთი ერთ მუშტად შეკრული ორგანიზაცია. კურტ ანტონიო სემლერმა მკაცრად ვერტიკალური სტრუქტურის მქონე კომპანია დააარსა და სხვადასხვა მოწყობილობის წარმოება დაიწყო. თავდაპირველად კომპანია საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა, თუმცა, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ბრაზილიაში არსებულმა ინფლაციამ და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ მისი მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ გაჭირვების ჟამს ჰარვარდის უნივერსიტეტიდან დაბრუნდა 20 წლის რიკარდო სემლერი, რომელიც ენერგიით აღსავსე იყო. მას ბევრი ახალი იდეა ჰქონდა. მამამ კომპანიის სადავეები და მისი ბურუსით მოცული მომავალი რიკარდოს გადააბარა.

iii სათავეში მოსვლიდან პირველივე დღეს რიკარდო სემლერმა მენეჯერთა 2/3 დაითხოვა (მათი უმეტესობა მამამისის ახლობელი იყო). ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. კომპანიის გადარჩენის ერთადერთ გზას სემლერი გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებასა და ახალი ტიპის წარმოების დანერგვაში ხედავდა, რისთვისაც ინვესტიციები იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციების მოპოვება იმდროინდელ ბრაზილიაში თითქმის წარმოუდგენელი იყო, რიკარდომ ეს შეძლო. ორ წელიწადში „Semco“ მომგებიანი გახდა. ამ წარმატების მისაღწევად სემლერი დაუღალავად შრომობდა. დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო ის ერთ-ერთი საქმიანი შეხვედრიდან პირდაპირ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა რიკარდოზე. ის მიხვდა, რომ თავის თანამშრომ-

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

ლებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში მაინც არ ენდობოდა. დაიწყო ლიბერალიზაციისკენ მიმართული ცვლილებების ახალი ტალღა.

iv რიკარდოს აზრით, კომპანია მაშინ გამოავლენდა საკუთარ პოტენციალს, როდესაც თანამშრომლები ჩათვლიდნენ, რომ ეს კომპანია მათი იყო. ამისათვის საჭირო იყო სამი კომპონენტის – დემოკრატიის, მოგების განაწილებისა და ინფორმაციის საჯაროობის – კომბინაცია. ყველას უნდა შეძლებოდა, აერჩია, რას, როდის და როგორ გააკეთებდა; მოგების ნაწილი თანამშრომლებს უნდა დარიგებოდათ და ყველა თანამშრომელს თანაბარი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა კომპანიისა და დანარჩენი თანამშრომლების შესახებ.

v კომპანიაში ცალკეულ ბიზნესერთეულებს საკუთარი გეგმების დამოუკიდებლად შედგენის უფლება მიენიჭათ. ბიზნესერთეულს მის მიერ მიღებული წმინდა მოგების 23% თავისი თანამშრომლებისთვის უნდა მიეცა, თანხის განაწილებისას კი ხმის მიცემის პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა. სემლერის ლოგიკით, თუ მისი თანამშრომლები თვითონ განსაზღვრავენ, როდის რა აკეთონ და როგორ განკარგონ საწარმოს მოგება, მაშინ მათ უკეთ ეცოდინებათ, ამისათვის რა გასამრჯელო უნდა მიიღონ. კომპანიის ყველა ფინანსური ინფორმაციის (ვინ რამდენ ხელფასს იღებდა, ვინ რამდენს ხარჯავდა მივლინებებში და ა. შ.) გამომზეურებას მოჰყვა გადასვლა ხელფასების ინდივიდუალურად განსაზღვრაზე. „Semco“-ში პიროვნულ თავისუფლებასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. თანამშრომელთა შემოქმედებითობის გამოსავლენად საუკეთესო პირობები შეიქმნა.

vi კომპანიაში განხორციელებულმა ცვლილებებმა „Semco“ ერთ დიდ ოჯახად ჩამოაყალიბა და, რომ არა ეს ერთობა, დღეს ალბათ კომპანია აღარ იარსებებდა 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური კრიზისის გამო. კრიზისისგან თავის დასაღწევად კომპანიის თანამშრომლებმა საკუთარი ხელფასის განახევრება გადაწყვიტეს, ამასთან, ყველა მნიშვნელოვანი ხარჯის გაღების შესახებ გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღებოდა. კომპანია წარმატებით გაუმკლავდა ბრაზილიური ეკონომიკის „კაპრიზებს“ და ამ წარმატებამ „Semco“ უფრო ეფექტიანი და ძლიერი გახადა.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია ასახული ტექსტის I აბზაცის ძირითადი შინაარსი?

I აბზაცში:

(ა) განხილულია ბრაზილიის ერთ-ერთი კომპანიის ის მახასიათებლები, რომლებიც ხელს უწყობს ნებისმიერი ამ ტიპის ორგანიზაციის ზრდა-განვითარებას.

(ბ) მოცემულია ბრაზილიის ერთ-ერთი კომპანიის იმ ნიშან-თვისებათა ჩამონათვალი, რომლებიც გამოარჩევს მას სხვა კომპანიებისგან.

(გ) ახსნილია ბრაზილიის ერთ-ერთი კომპანიის ის თავისებურება, რომლის გამოც ამ ქვეყანას უამრავი ტურისტი სტუმრობს.

(დ) აღწერილია ბრაზილიის ერთ-ერთი კომპანიის სამუშაო რეჟიმი და განრიგი, რის გამოც მისი თანამშრომლები ამ კომპანიის მესაკუთრეებად მიიჩნევენ თავს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

16. I აბზაცში სიტყვა „მუშაობს“ ბრჭყალებშია ჩასმული, რადგან:

(ა) ტექსტის ავტორის აზრით, ეს სიტყვა სრულად ვერ ასახავს კომპანიის თანამშრომლების მოღვაწეობას ამ ორგანიზაციაში.

(ბ) ამით ტექსტის ავტორს სურს მიგვანიშნოს, რომ ეს არ არის ნამდვილი მუშაობა, არამედ მცდელობაა, თავი იგრძნონ კომპანიის მესაკუთრეებად.

(გ) შრომის ის წესი და რეჟიმი, რომელიც ამ ორგანიზაციაში მოქმედებს, ძალზე შორსაა იმისგან, რასაც რეალური, დაძაბული მუშაობა ნიშნავს.

(დ) ამ კომპანიის მრავალრიცხოვანი თანამშრომელი იმდენად განსხვავებული ამოცანის გადაწყვეტითაა დაკავებული, რომ ძნელია, ამას შრომა უწოდო.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

17. რით იყო განპირობებული ის, რომ რიკარდო სემლერმა კომპანიის სათავეში მოსვლისთანავე სამსახურიდან დაითხოვა მენეჯერთა უდიდესი ნაწილი?

(ა) კომპანიის მენეჯმენტის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ მამის ახლობლები, რაც კომპანიის თანამშრომლების უკმაყოფილებას იწვევდა და, შესაბამისად, მათ შრომის ნაყოფიერებაზე აისახებოდა.

(ბ) თავის დროზე საკმაოდ წარმატებული კომპანიის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი იყო ფინანსების ოპტიმალურად განკარგვა და, შესაბამისად, კადრების შემცირება.

(გ) კომპანიის მართვის სტილი არ პასუხობდა იმ გამოწვევებს, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ორგანიზაციის წინაშე იდგა.

(დ) რიკარდოს, რომელიც ახალი იდეებით იყო აღსავსე, სურდა, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაეწყო, ამიტომ ის იშორებდა ყველაფერს, რაც კომპანიის უწინდელ საქმიანობას მოაგონებდა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

18. რა იგულისხმება ფრაზაში „ის მიხვდა, რომ თავის თანმშრომლებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში მაინც არ ენდობოდა“?

(ა) იმ პერიოდში ინვესტიციების მოპოვება რთული იყო, ამიტომ რიკარდოს მოლაპარაკებების წარმოებისას თავის თანამშრომლებზე ბევრად მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

(ბ) რიკარდომ გააცნობიერა, რა იყო მისი დაძაბული სამუშაო გრაფიკის განმაპირობებელი მიზეზი – მოლაპარაკებების წარმოებით მხოლოდ ის იყო დაინტერესებული.

(გ) კომპანიასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო გადაწყვეტილების მიღებას რიკარდო მხოლოდ თავის თავზე იღებდა.

(დ) რიკარდო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპანიის ეფექტური მართვისთვის მნიშვნელოვანი იყო თანამშრომელთა მართვის უფრო დახვეწილი სისტემის შემოტანა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

19. რა მიმართებაა IV და V აბზაცებს შორის?

(ა) V აბზაცში საუბარია კომპანიის იმ ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელების გზებზე, რომლებიც მითითებულია IV აბზაცში.

(ბ) IV აბზაცში საუბარია კომპანიის მართვის სამი პრინციპის შესახებ, ხოლო V აბზაცში გაანალიზებულია, რამდენად მიზანშეწონილია ამ პრინციპების საფუძველზე მოქმედება.

(გ) IV აბზაცში განხილულია კომპანიის მართვის სამი შესაძლო პრინციპი, ხოლო V აბზაცში აღწერილია, სინამდვილეში რით ხელმძღვანელობს კომპანია საქმიანობისას.

(დ) V აბზაცში განხილულია ის სირთულეები, რომლებსაც შეეჯახება კომპანია IV აბზაცში აღწერილი მართვის პრინციპების განხორციელებისას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

20. რა მიზანს ემსახურება ტექსტის ბოლო აბზაცში აღწერილი ფაქტი?

(ა) წარმოადგენს ტექსტში განხილული საკითხების ერთგვარ შეჯამებას.

(ბ) ადასტურებს კომპანიის მიერ არჩეული მართვის სტრატეგიის მართებულობას.

(გ) წარმოგვიდგენს კომპანიის ეფექტიანი მართვის კიდევ ერთ პრინციპს.

(დ) გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ეკონომიკური კრიზისების მართვა.

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. ჩაძირული : ფსკერი

(ა) ამოთხრილი : ჭაბურღილი

(ბ) დატბორილი : დაბლობი

(გ) ადიდებული : ჯებირი

(დ) გამორიყული : ნაპირი

(ე) მოტივტივე : ნაფოტი

22. კვალდაკვალ : ფეხდაფეხ

(ა) გზადაგზა : ქუჩა-ქუჩა

(ბ) წამდაუწუმ : წლობით

(გ) წინდაწინ : თანდათან

(დ) დროდადრო : ხანდახან

(ე) დღედაღამ : დღითი დღე

23. კვლევა : მკვლევარი

(ა) კრიმინალი : კრიმინალისტი

(ბ) დიზაინი : დიზაინერი

(გ) სასჯელი : მსაჯული

(დ) სადგომი : მდგმური

(ე) ზღვა : მეზღვაური

24. რეპერტუარი : ასორტიმენტი

(ა) ინსტრუქცია : რეცეპტი

(ბ) კატალოგი : მენიუ

(გ) რაციონი : დიეტა

(დ) პორცია : ულუფა

(ე) ანკეტა : ცნობარი

25. შეცდომა : კრახი

(ა) ხუმრობა : იუმორი

(ბ) სიმულაცია : სიცრუე

(გ) სიახლე : განვითარება

(დ) არჩევანი : ალტერნატივა

(ე) ანესთეზია : მგრძნობელობა

26. ექსპანსია : გაფართოება

(ა) ოკუპაცია : ზეწოლა

(ბ) მიგრაცია : დაბრუნება

(გ) ასიმილაცია : დამსგავსება

(დ) დივერსია : გასაიდუმლოება

(ე) ინტერვენცია : გათავისუფლება

27. ინტრიგა : ლაბირინთი

(ა) ცვლილება : დინამიკა

(ბ) რეზონანსი : აჟიოტაჟი

(გ) ანდერძი : მემკვიდრეობა

(დ) კონტაქტი : კომუნიკაცია

(ე) მკურნალობა : რესტავრაცია

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

28. ფოტოგრაფიაში სურათის ------ ფოტოგრაფის ხელსაწყოები. რაც უფრო ------ დროს და ძალისხმევას ახმარს ფოტოგრაფი თავის ხელსაწყოებზე ზრუნვას, მით უფრო ------ დრო და ენერგია ------ თავის სურათებზე სამუშაოდ. კარგი ხელსაწყოები მხოლოდ ------ ადვილს, სწრაფს და მოსახერხებელს ხდის ფოტოგრაფისთვის სასურველი შედეგის მიღებას.

(ა) ხარისხისთვის შედარებით უმნიშვნელოა / ნაკლებ / ნაკლები / რჩება მას / ნაკლებად

(ბ) ხარისხს განსაზღვრავს მხოლოდ / მეტ / ნაკლები / სჭირდება მას / ნაკლებად

(გ) ხარისხზე დიდ ზეგავლენას ახდენს / მეტ / მეტი / სჭირდება მას / უფრო

(დ) ხარისხს არ განსაზღვრავს / ნაკლებ / მეტი / რჩება მას / უფრო

29. საზოგადოებრივი ცხოვრება, ------ , ხოლო ხელისუფლება საუკეთესო პირობებშიც კი ------ . ის ------ ბოროტების სახეს იღებს.

(ა) როგორც წესი, მანკიერია / ვერ ერევა ამ მანკიერებას / საუკეთესო შემთხვევაში თავადაც

(ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, სიკეთეა / მხოლოდ აუცილებელი ბოროტებაა / უარეს შემთხვევაში გაუსაძლისი

(გ) როგორც წესი, მანკიერია / წაახალისებს ამ მანკიერებას / საუკეთესო შემთხვევაში გაუსაძლისი

(დ) ნებისმიერ შემთხვევაში, სიკეთეა / აუცილებელია ამ სიკეთის შესანარჩუნებლად / უარეს შემთხვევაში ნაკლები

30. ხელოვნებით ტკბობა ------ ამოცნობის შედეგია. ელიტარული ხელოვნება მასებისთვის ------ . იგი ისწრაფვის, მაქსიმალური სიამოვნება მიანიჭოს გაწაფულ მკითხველს მხატვრულში რეალურის ------ ამოცნობის ხარჯზე. ------ ამ დროს ხელოვანი შეიძლება, იქცეს ------ ავტორად.

(ა) ხელოვნებაში ცხოვრებისეულის დანახვის, მხატვრულში რეალისტურის / ძნელად გასაგებია / გაიოლებული / ამიტომ / მოსაბეზრებელი რებუსების

(ბ) ხელოვნების პირობითობის გადალახვის, პირობითში რეალურის / ადვილად აღსაქმელია / გაძნელებული / ამიტომ / თავისივე ნაწარმოების კომენტარების

(გ) ხელოვნებაში ცხოვრებისეულის დანახვის, მხატვრულში რეალისტურის / ადვილად აღსაქმელია / გაიოლებული / მიუხედავად ამისა, / თავისივე ნაწარმოების კომენტარების

(დ) ხელოვნების პირობითობის გადალახვის, პირობითში რეალურის / ძნელად გასაგებია / განზრახ გაძნელებული / მაგრამ / მოსაბეზრებელი რებუსების

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. ცნობილია, რომ ენოტები ჭამის წინ საჭმელს „რეცხავენ“: ზოოპარკში მცხოვრებ ენოტს იქვე არსებულ გუბურასთან მიაქვს ხოლმე საჭმელი და ალბობს, სანამ შეჭამს; ხშირად უნახავთ ბუნებაში მცხოვრები ენოტიც, რომელიც მდინარეში აჭყაპუნებდა წინა თათებს, შემდეგ იქიდან საჭმელი ამოჰქონდა, არასასურველ ნაწილებს შემოაცლიდა და ჭამდა. მკვლევართა ნაწილმა ივარაუდა, რომ **ენოტის სანერწყვე ჯირკვლები საკმარის სითხეს არ გამოყოფს და ამიტომ ენოტს ჭამამდე საკვების წყალში დალბობა ესაჭიროება.**

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელმა ვითარებამ შეიძლება **<u>განამტკიცოს</u>** აღნიშნული ვარაუდი?*

(ა) ენოტები უფრო დიდი ხნის განმავლობაში „რეცხავენ“ საკვებს, რომელიც ხმელეთზე მოიპოვეს, ვიდრე წყალში მოპოვებულ საკვებს.

(ბ) ენოტს საკვები „გასარეცხად“ მიაქვს, თუ წყარო ან გუბურა ახლოს – 3 მეტრზე ნაკლებ მანძილზეა, ხოლო თუ წყალი უფრო შორსაა – ის ამას არ აკეთებს.

(გ) ხმელეთზე მოპოვებული საკვები დასალბობად წყალთან მიაქვთ მხოლოდ ზოოპარკში მცხოვრებ ენოტებს; ხოლო ყველა იმ შემთხვევაში, როცა ბუნებაში მცხოვრები ენოტი საკვებს „რეცხავს“, ეს საკვები მას წყალშივე აქვს მოპოვებული.

(დ) ენოტის შეხებითი შეგრძნების უნარი თათების დასველებისას ძლიერდება; ეს კი ენოტს საშუალებას აძლევს, მოპოვებული საკვების საჭმელად ვარგისი ნაწილები გამოარჩიოს.

(ე) ენოტები უფრო ხშირად წყალში ალბობენ ისეთ საკვებს, რომელიც წყალშივე მოიპოვება; ხოლო საკვებს, რომელიც, ჩვეულებრივ, ხმელეთზე მოიპოვება, უფრო იშვიათად „რეცხავენ“.

32. მოცემულია სამი წინადადება:

I. ზოგიერთი წიწვოვანი მცენარე მარადმწვანეა.

II. ზოგიერთი წიწვოვანი მცენარე სუბტროპიკულ სარტყელში იზრდება.

III. ზოგიერთი მარადმწვანე მცენარე სუბტროპიკულ სარტყელში იზრდება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

III წინადადება:

(ა) გამომდინარეობს I წინადადებიდან II-ისგან დამოუკიდებლად.

(ბ) გამომდინარეობს II წინადადებიდან I-ისგან დამოუკიდებლად.

(გ) გამომდინარეობს I და II წინადადებებიდან ერთად, თუმცა, არ გამომდინარეობს არც ერთი მათგანიდან დამოუკიდებლად.

(დ) გამომდინარეობს როგორც I, ისე II წინადადებიდან დამოუკიდებლად.

(ე) არ გამომდინარეობს მოცემული წინადადებებიდან.

33. მოცემულია:

- არსებობენ წარმატებული სპორტსმენები.
- ყველა წარმატებული სპორტსმენი შრომისმოყვარეა.
- ყველა შრომისმოყვარე სპორტსმენი ბევრს ვარჯიშობს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს **<u>მცდარი,</u>** თუ მოცემული დებულებები ჭეშმარიტია?*

(ა) ყველა წარმატებული სპორტსმენი ბევრს ვარჯიშობს.

(ბ) არსებობს წარმატებული სპორტსმენი, რომელიც ბევრს ვარჯიშობს.

(გ) არსებობს წარუმატებელი სპორტსმენი, რომელიც ბევრს ვარჯიშობს.

(დ) არ არსებობს შრომისმოყვარე სპორტსმენი, რომელიც ბევრს არ ვარჯიშობს.

(ე) არც ერთი სპორტსმენი, რომელიც ბევრს არ ვარჯიშობს, არ არის შრომისმოყვარე.

34. მოცემულია დებულებები:

I. ყველა დიდ ქალაქში არსებობს მეტრო.

II. ზოგიერთ დიდ ქალაქში არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული სისტემა.

III. ყველა დიდ ქალაქში გადატვირთულია საავტომობილო მოძრაობა.

*მოცემული დებულებებიდან რომლები უნდა ავიღოთ წანამძღვრებად, რათა შევძლოთ დავასკვნათ: „**თუ ქალაქში არსებობს მეტრო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული სისტემა და, თანაც, გადატვირთულია საავტომობილო მოძრაობა, მაშინ ეს დიდი ქალაქია**“?*

(ა) საკმარისია მხოლოდ I და II.

(ბ) საკმარისია მხოლოდ II და III.

(გ) საკმარისია მხოლოდ I და III.

(დ) აუცილებელია სამივე ერთად.

(ე) საკმარისი არ არის არც სამივე ერთად.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ინოვატორი ქვის იარაღის შემოქმედი კი არ იყო, არამედ სიმბოლური გამოსახულების პირველი ავტორი. როდის დაიბადა ხელოვნება? ადამიანის მიერ სხვადასხვა სიმბოლოთა გამოსახვამ, როგორც ჩანს, ბიძგი მისცა ხელოვნების წარმოშობას. მეცნიერები დიდხანს კამათობდნენ თანამედროვე ადამიანის მონათესავე სახეობის – ნეანდერტალელების უნარებზე. მართალია, ნეანდერტალელთა სიმბოლური ქცევის ამსახველი არქეოლოგიური ნიმუშები მწირია, მაგრამ თანამედროვე აღმოჩენები სულ უფრო მეტ სიახლეს გვთავაზობს ამ თვალსაზრისით.

ii ახლახან აღმოჩენილ ბუმბულის ღეროზე არსებული ნაჭდევები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბუმბულებს მოსართავად 50000 წლის წინაც იყენებდნენ. საფრანგეთში, გროტე-დუ-რენში ნეანდერტალელთა იარაღების გვერდით აღმოჩნდა 43000 წლის წინანდელი მელიის კბილი, რომელიც საგანგებოდ იყო გახვრეტილი. სავარაუდოდ, ის კულონის ფუნქციას ასრულებდა. ესპანეთში, ელ კასტილიოს გამოქვაბულის კედელზე დახატული წითელი წრე ახლახან 41000 წლის წინანდელი პერიოდით დათარიღდა. დასავლეთ ევროპაში ამ დროს მხოლოდ ნეანდერტალელები ბინადრობდნენ.

iii გერმანიაში (ლონას ხეობა), **ჰოლენშტაინ-შტადელის** გამოქვაბულში აღმოაჩინეს 40000 წლის წინ შექმნილი „ლომკაცის“ უჩვეულო ქანდაკება. 30 სმ სიმაღლის უხეშად დამუშავებული ეს ფიგურა კაცობრიობის ისტორიაში დღემდე ცნობილი პირველი ქმნილებაა, რომელიც აშკარად წარმოსახვითია – ნახევრად კაცი და ნახევრად ლომი. მის შექმნას სჭირდებოდა არა მხოლოდ შემოქმედებითი გონება, არამედ გარკვეული ტექნიკური უნარებიც და ხანგრძლივი დრო – დაახლოებით 400 საათი. რას გულისხმობდა მისი ავტორი? ლომის ძალას, ადამიანს რომ უნდა ებოძოს, თუ ქურუმის უნარს, ორ სამყაროს შორის რომ მოგზაურობს? ჰოლენშტაინ-შტადელი ერთადერთი

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

გამოქვაბულია ამ რეგიონში, რომელშიც არქეოლოგებს არ უპოვიათ ყოფითი იარაღები, ძვლები ან ნაგავი. ის სხვა გამოქვაბულებზე ღრმაცაა. მარტივი წარმოსადგენია, როგორ ეთაყვანებოდნენ ლომკაცს, როგორ ასრულებდა ეს გამოქვაბული პრეისტორიული რელიგიური ცენტრის ფუნქციას.

სამხრეთ საფრანგეთისა და ესპანეთის გამოქვაბულების ცნობილი მხატვრობა კი ნამდვილად ნეანდერტალელთა გაუჩინარების შემდეგ შეიქმნა. ეს გამოქვაბულები გიგანტურ სპირალებს ჰგავს. ამ მღვიმეების შემოქმედებით აფეთქებას ზოგი მეცნიერი, ნაწილობრივ მაინც, მათივე უსასრულო სიღრმესა და სიბნელეს უკავშირებს – შუქ-ჩრდილების ერთგვარ თამაშს. **ალტამირას** (ესპანეთი) და **შოვე-პონ-დ'არკის** (საფრანგეთი) გამოქვაბულების მრუდე, ამობურცულ კედლებზე 36000 წლის წინ დახატული დომბები და მამონტები თითქოს კვლავ ცოცხლობენ. ბნელ გამოქვაბულებში მოციმციმე ცეცხლის შუქზე შექმნილი კომპოზიციები მართლაც ბადებს მოძრაობის ილუზიას. „გამოსახულებების გაცოცხლება სურდათ", – ამბობს რეჟისორი და არქეოლოგი მარკ აზემა. შოვე-პონ-დ'არკის ერთ-ერთ დარბაზში დახატულია ათი ლომი. ისინი თითქოს ნადავლს დაეძებენ. თუმცა, ცეცხლის შუქზე ათივე ლომი შესაძლოა, მხოლოდ ერთი ან ორი ლომის თანმიმდევრულ გამოსახულებად გაერთიანდეს, ამ სიუჟეტში კადრებივით რომ მოძრაობენ. ლომების უკან მარტორქების ჯგუფი დგას. ერთ-ერთი ინდივიდის თავი და რქა ნახატზე ექვსჯერ მეორდება ქვემოდან ზემოთ. იქმნება თავის აქნევის ეფექტი. ამ უძველეს მხატვრებს მარკ აზემა მსოფლიოში პირველ ანიმატორებს უწოდებს.

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

35. I აბზაცში დასმულია შეკითხვა: „როდის დაიბადა ხელოვნება?“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სავარაუდო პასუხი ამ კითხვაზე, ტექსტის მიხედვით?

(ა) ქვის ხანაში, რადგან ქვის იარაღების შექმნამ ბიძგი მისცა ინოვაციური იდეების დაბადებას, შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას.

(ბ) ნეანდერტალელთა შემდეგ, რადგან ამ სახეობაში სიმბოლური ქცევის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა არაარსებითია.

(გ) სიმბოლური გამოსახულების გაჩენისთანავე, რადგან სიმბოლოს გამოგონება – პირობითობის დაშვება – შემოქმედებითი აზროვნების არსებობის ნიშანია.

(დ) გარკვეული არ არის, რადგან პრეისტორიული ადამიანის სიმბოლური ქცევის ამსახველი არქეოლოგიური მასალა ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

36. ნეანდერტალელთა სიმბოლური ქცევის ამსახველი რამდენიმე ნიმუში იმაზე მეტყველებს, რომ:

(ა) მათ შემოქმედებითი უნარები კარგად ჰქონდათ განვითარებული, თუმცა, მასალის სიმწირის გამო სერიოზულ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ.

(ბ) შესაძლოა, ისინი იყვნენ პირველი ხელოვანები, რადგან არსებულ საგნებს თავისებურად უცვლიდნენ სახეს და გარკვეულ დანიშნულებას ანიჭებდნენ მათ.

(გ) მათ უკვე თავისუფლად შეეძლოთ, აბსტრაქტულად ეაზროვნათ და გამოესახათ გეომეტრიული ფიგურები, მაგალითად, ელ კასტილიოს წითელი წრე.

(დ) მათ მკაფიოდ გამოხატული შემოქმედებითი უნარები ჰქონდათ, რადგან ნივთებს სიმბოლური დანიშნულებით იყენებდნენ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრების საილუსტრაციოდ **ვერ გამოვიყენებთ** ჰოლენშტაინ-შტადელის ლომკაცის ფიგურას?

(ა) ლონას ხეობის მკვიდრთ 40000 წლის წინ ჰქონდათ ერთგვარი რელიგია და გამოქვაბულს იყენებდნენ რელიგიური ცენტრის ფუნქციით.

(ბ) ლონას ხეობის უძველეს მკვიდრთ ახასიათებდათ სიმბოლური ქცევა, ჰქონდათ საკმაოდ განვითარებული წარმოსახვის უნარი.

(გ) ამ პერიოდში ადამიანებს უკვე აქვთ გარკვეული ტექნიკური უნარები და ნებისყოფა შექმნილი ნივთის დასახვეწად. სავარაუდოდ, ამ დროს იბადება ხელოვნება.

(დ) ნეანდერტალელებს უკვე ჰქონდათ გარკვეული რელიგიური წარმოდგენები, ამასთან, ჰქონდათ ფიგურის გამოკვეთისას განსხვავებული ელემენტების შერწყმის გამოცდილებაც.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

38. რამდენიმე ცნობა გერმანიაში, ლონასა და ახის ხეობებში, აღმოჩენილ არტეფაქტებზე:

- ლონას ხეობაში, გამოქვაბულში აღმოჩნდა ნატიფად შესრულებული მცირე ზომის (2-დან 4 სმ-მდე) 43000 წლის წინანდელი 4 ფიგურა, სავარაუდოდ, ტოტემები: **ცხენი, მამონტი, დომბა და ლომი.** არქეოლოგ ნიკოლას კონარდის თქმით, „თითოეული ნიმუში განსხვავებულია, მაგრამ ისინი ერთ მთლიანობას ქმნიან“.
- ახის ხეობის გამოქვაბულში ნიკოლას კონარდმა აღმოაჩინა ქალის მცირე ზომის 35000 წლის წინანდელი კარგად დამუშავებული ფიგურა, რომელსაც **„ვენერა“** უწოდეს. მისი გამოსახულება სიმბოლურად ნაყოფიერებაზე მიუთითებს. ტორსის ზემოთ ყუნწი გვაფიქრებინებს, რომ მას ყელსაბამად იყენებდნენ.

*მოცემული ტექსტისა და ამ ცნობების გაანალიზების საფუძველზე გამოტანილია რამდენიმე დასკვნა. მათგან რომელი **ვერ იქნება** მართებული?*

(ა) ლომკაცი და „ვენერა“ შემოქმედებითი თვალსაზრისით განვითარების ერთ საფეხურზე დგანან, ორივე ფიგურის ავტორთა წარმოდგენებიც ღვთაებათა შესახებ ანალოგიურია.

(ბ) ლონას ხეობაში 40000 წლის წინა პერიოდში უკვე ჩანს სიმბოლური აზროვნების ნიშნები და ერთიანი შემოქმედებითი სტილიც იკვეთება.

(გ) შესაძლოა, ლონას ხეობაში აღმოჩენილ მცირე ზომის ფიგურებს რიტუალური დანიშნულებაც ჰქონოდა; შეიძლება ვისაუბროთ რელიგიისა და ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე.

(დ) ახის ხეობის „ვენერა“ ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთი უნდა იყოს და, შესაბამისად, ის, ისევე, როგორც ჰოლენშტაინ-შტადელის ლომკაცი, რელიგიის ჩანასახის არსებობაზე მიუთითებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

39. რატომ უწოდებს მარკ აზემა საფრანგეთის გამოქვაბულის მხატვრებს პირველ ანიმატორებს?

(ა) გამოქვაბულში აღმოჩენილი გამოსახულებები სიმბოლური ქცევის დამადასტურებელი ნიმუშები არ გახლავთ, რადგან ისინი ცოცხალ ცხოველებს ჰგვანან; „ანიმა“ კი „სულს“ ნიშნავს და ეს ლომები და მარტორქები გასულიერებულია.

(ბ) ანიმაციის სახელით ცნობილია ტექნიკა, რომლის დროსაც მხატვარი ყოველი მომდევნო მცირედ შეცვლილი გამოსახულების განმეორებით ქმნის მოძრაობის ილუზიას; მსგავსი ეფექტი აქვს ლომებისა და მარტორქების კადრებივით „მოძრავ“ გამოსახულებებს.

(გ) ყურადღება გამახვილებულია ამ მღვიმეების შემოქმედებით აფეთქებაზე – გამოქვაბულის მხატვრები მრავალფიგურიან კომპოზიციებს ქმნიან ისე, რომ ცხოველები რეალისტურად გამოიყურებიან.

(დ) ეს მხატვრები ოსტატურად იყენებენ გიგანტური სპირალების მსგავსი მღვიმეების სივრცეს, მრუდე კედლებს და, გარდა ამისა, ცეცხლის შუქი ქმნის ლომებისა და მარტორქების მოძრაობის ეფექტს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

40. ფრანგი არქეოლოგი **ჟაკ კოვენი** იკვლევდა ნეოლითური ხანის ახლო აღმოსავლეთს. ის **„სიმბოლოების რევოლუციას“** უწოდებს ადამიანის ცნობიერებაში მომხდარ იმ კონცეპტუალურ ცვლილებას, რომელმაც ადამიანს საშუალება მისცა, წარმოედგინა ღმერთები – ადამიანის მსგავსი ზეარსებები – რომლებიც ფიზიკური სამყაროს მიღმა არსებობდნენ.

ტექსტის რომელი ეპიზოდის კომენტარად შეიძლება გამოვიყენოთ ჟაკ კოვენის მოსაზრება?

(ა) ინოვაციების ეპიზოდის, რადგან სიმბოლოთა გამოსახვა შემოქმედებით უნარს მოითხოვდა და ეს იყო რევოლუციური გარდატეხა ადამიანის ცნობიერებაში.

(ბ) ბუმბულების, მელიის კბილისა და ელ კასტილიოს წითელი წრის ეპიზოდის, რადგან ამ არტეფაქტების აღმოჩენა მართლაც რევოლუციური მოვლენა იყო ანთროპოლოგიის ისტორიაში.

(გ) ჰოლენშტაინ-შტადელის ლომკაცის ეპიზოდის, რადგან ფიგურას ჰქონდა, ნაწილობრივ მაინც, ადამიანის სახე, ის უნდა ყოფილიყო ზებუნებრივის სიმბოლო, ანუ სიმბოლური აზროვნების უძველესი ევროპული ნიმუში.

(დ) ალტამირასა და შოვე-პონ-დ’არკის ეპიზოდის, რადგან ამ მღვიმეების გამოსახულებები მოძრაობენ, მოძრაობის გამოსახვა კი ანიმაციაში რევოლუციური მოვლენაა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40